

შპს შატო მერე

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

2024 წელი 31 დეკემბერი

შპს შატო მერე
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება-გარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3-4. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება	11
5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	12
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12
7. მარაგები.....	12
8. კაპიტალი.....	12
9. ფინანსური იჯარის ვალდებულებები	12
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	12
12. ამონაგები.....	13
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
15. საპროცენტო ხარჯი	13
16. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	13
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	13
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	13
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,498,446	4,943,618
არამატერიალური აქტივები	4	18,166	20,885
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,516,611	4,964,503
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,062	10,544
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	31,596	56,915
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგები	7	14,081	28,764
		101,501	129,851
სულ მოკლევადიანი აქტივები		148,241	226,075
სულ მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები		4,664,852	5,190,577
კაპიტალი	8		
საწესდებო კაპიტალი		357,424	319,584
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(3,199,986)	(2,403,419)
სულ კაპიტალი		(2,842,563)	(2,083,835)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	5,713,902	5,780,493
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,713,902	5,780,493
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	9	332,833	380,972
გადასახდელი პროცენტები		574,478	312,383
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	846,133	765,445
საგადასახადო ვალდებულებები		40,068	35,119
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,793,513	1,493,919
სულ ვალდებულებები		7,507,415	7,274,412
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		4,664,852	5,190,577

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი


შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ცართულ ლარში)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,498,446	4,943,618
არამატერიალური აქტივები	4	18,166	20,885
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,516,611	4,964,503
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,062	10,544
საექსპო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	31,596	56,915
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		14,081	28,764
მარაგები	7	101,501	129,851
სულ მოკლევადიანი აქტივები		148,241	226,075
სულ მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები		4,664,852	5,190,577
კაპიტალი	8		
საწესდებო კაპიტალი		357,424	319,584
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(3,199,986)	(2,403,419)
სულ კაპიტალი		(2,842,563)	(2,083,835)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	5,713,902	5,780,493
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,713,902	5,780,493
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	9	332,833	380,972
გადასახდელი პროცენტები		574,478	312,383
საექსპო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	846,133	765,445
საგადასახადო ვალდებულებები		40,068	35,119
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,793,513	1,493,919
სულ ვალდებულებები		7,507,415	7,274,412
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		4,664,852	5,190,577

მომზადებულია ხელმძღვანელობის საბუღალტრო 2025 წლის 30 სექტემბერს



მთავარი ბუღალტერი



მთავარი ბუღალტერი

შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-გარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	1,580,415	2,286,785
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(324,123)	(509,539)
საერთო მოგება		1,256,292	1,777,246
დასაქმებულთა ანაზღაურება		(827,265)	(812,024)
ცვეთა და ამორტიზაცია		(469,507)	(517,885)
იჯარის ხარჯი		(14,006)	(18,959)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(525,021)	(654,965)
სხვა ხარჯები		(36,885)	(41,793)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,872,683)	(2,045,625)
საოპერაციო მოგება		(616,392)	(268,380)
საპროცენტო ხარჯი	15	(276,373)	(478,277)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		34,863	22,996
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	16	64,012	(165,394)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(2,678)	14,368
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(796,568)	(874,687)
მოგების გადასახადი			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(796,568)	(874,687)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი


შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)


მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	1,580,415	2,286,785
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(324,123)	(509,539)
საერთო მოგება		1,256,292	1,777,246
დასაქმებულთა ანაზღაურება		(827,265)	(812,024)
ცვეთა და ამორტიზაცია		(469,507)	(517,885)
იჯარის ხარჯი		(14,006)	(18,959)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(525,021)	(654,965)
სხვა ხარჯები		(36,885)	(41,793)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,872,683)	(2,045,625)
საოპერაციო მოგება		(616,392)	(268,380)
საპროცენტო ხარჯი	15	(276,373)	(478,277)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		34,863	22,996
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	16	64,012	(165,394)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(2,678)	14,368
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გაზრდობითი ოპერაციებიდან		(796,568)	(874,687)
მოგების გადასახადი			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(796,568)	(874,687)

მოამზადებულია ზელმზღვანელობის საბუღალტრო 2025 წლის 30 სექტემბერს



დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	320,449	(1,528,732)	(1,208,283)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(865)	-	(865)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(874,687)	(874,687)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	319,584	(2,403,418)	(2,083,835)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	37,840	-	37,840
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(796,568)	(796,568)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	357,424	(3,199,986)	(2,842,563)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	320,449	(1,528,732)	(1,208,283)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(865)	-	(865)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(874,687)	(874,687)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	319,584	(2,403,418)	(2,083,835)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	37,840	-	37,840
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(796,568)	(796,568)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	357,424	(3,199,986)	(2,842,563)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

გიორგი მისაძე

დირექტორი

გიორგი მისაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს შატო მერე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს შატო მერე დაფუძნდა 2014 წლის 23 ივნისს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 431171581. კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელი იყო ივანე ანდრონოვი, ხოლო 49%-იანი წილის მფლობელი გიორგი პირადაშვილი. 2023 წელს განახლების შემდეგ კომპანიის 49%-იანი წილის მფლობელია გიორგი პირადაშვილი, 8.5%-იანი წილის მფლობელი ივანე ანდრონოვი, 8.5%-იანი წილის - ივანე ანდრონოვა, ხოლო 34%-იანი წილის - სვეტლანა ანდრონოვა. დირექტორი- გიორგი პირადაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სასტუმრო-სარესტორნო მომსახურებას. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის 47. კომპანიის იურიდიული მისმართია : საქართველო, ქ. თელავი, ს. ვარდისუბანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის

საერთაშორსო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაძარის ინფორმაციას.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი	ევრო
2.8068	2.9306

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარა ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
ბიოლოგიური აქტივი	50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5
არამატერიალური აქტივები	10

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იზეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იზეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3-4. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები
თვითღირებულება 01.01.2024	125,570	252,537	5,491,743	50,000
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2024	125,570	252,537	5,491,743	50,000

მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სახანძრო სისტემების მოწყობილობები	ღვინის საჭირო ინვენტარი	ღვინის მოწყობილობები/დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
513,563	909,578	10,979	2,716	118,420	71,368	27,190	7,573,665
10,622	19,782	-	-	-	-	-	30,404
20,616	27,108	-	-	-	36,377	-	84,101
							7,519,967
503,569	902,251	10,979	2,716	118,420	34,991	27,190	7

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	მიწის ნაკვეთების ცვეთა	დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა	შენობის ცვეთა	მანქანა- დანადგარების ცვეთა
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	-	-	1,343,294	9,146
წლიური ცვეთა	-	-	274,587	22,694
გასული აქტ.დაგრ ცვეთა -	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-	-	1,617,881	31,839
საბალანსო ღირებულება	125,570	252,537	3,873,862	18,161

მოწყობილობების ცვეთა	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	სახანძრო სისტემების მოწყობილობები	ღვინის საჭირო ინვენტარის ცვეთა	ღვინის მოწყობილობები/დანადგარების ცვეთა	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	არამატერიალური აქტივების ცვეთა	სულ
356,684	778,546	640	1,599	55,263	57,686	6,306	2,609,162
73,732	66,617	549	543	23,684	4,382	2,719	469,507
20,616	27,108	-	-	-	27,588	-	75,312
							3,003,356
409,799	818,055	1,189	2,142	78,947	34,479	9,025	6
93,770	84,197	9,789	574	39,473	512	18,166	4,516,611

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31-Dec-24	31-Dec-23
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	149	905
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	913	9,639
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ	1,062	10,544

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-Dec-24	31-Dec-23
ფიზიკურ პირებზე სასტუმრო -რესტორნის მომსახურება	2,543	21,085
იურიდიულ პირებზე სასტუმრო -რესტორნის მომსახურება	24,471	31,180
მოთხოვნები სხვა მიწოდებიდან	4,582	4,650
სულ	31,596	56,915

7. მარაგები

	31-Dec-24	31-Dec-23
ნედლეული	73,135	90,842
მზა პროდუქცია	25,038	29,699
სხვა მარაგები	3,327	9,308
სულ	101,500	129,850

8. კაპიტალი

კომპანიას აქვს საწესდებო კაპიტალი 357,424 ლარი, ასევე აქვს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება -3,199,986 ლარი. 2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალია -796,568 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდი არ გაცემულა.

9. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. დანარჩენი ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ხელშეკრულების ვადების შესაბამისად. კომპანიას ფინანსური იჯარით აქვს აღებული ძირითადად ავტომანქანები და დანადგარი. ფინანსური იჯარის ხელშეკრულება უმეტესად არის 3 წლიანი ვადით.

	31-Dec-24	31-Dec-23
ვადები		
1-4 წლამდე	332,833	380,972
სულ	332,833	380,972

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-Dec-24	31-Dec-23
მოწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	316,539	348,866
გადასახდელი ხელფასები	464,187	337,247
მიღებული ავანსები	43,890	63,203
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	21,517	16,129
სულ	846,133	765,445

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31-Dec-24	31-Dec-23
ბანკისგან მიღებული სასესხო ვალდებულებები	5,713,902	5,780,493
სულ	5,713,902	5,780,493

12. ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	1,548,339	2,237,724
მომსახურების გაწევიდან	17,894	14,526
გაყიდვებიდან მიღებული სხვა შემოსავალი	14,182	34,535
სულ	1,580,415	2,286,785

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
სურსათი და სხვა პროდუქცია	(318,726)	(508,163)
სხვა რეალიზებული მასალები	(5,397)	(1,376)
სულ	(324,123)	(509,539)

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(126,111)	(150,283)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(22,255)	(29,604)
მომსახურების ხარჯი	(86,390)	(112,363)
რემონტისა და დამხმარე ინვენტარის ხარჯი	(92,593)	(119,942)
სატრანსპორტო ხარჯი	(45,165)	(67,067)
საგადასახადო ხარჯი	(45,509)	(49,461)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(106,996)	(126,245)
სულ	(525,021)	(654,965)

15. საპროცენტო ხარჯი

	2024	2023
ბანკის სესხის პროცენტი	(276,373)	(478,277)
სულ	(276,373)	(478,277)

16. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	592,843	415,449
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(528,831)	(580,843)
სულ	64,012	(165,394)

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირის ანაზღაურება 2024 წელს შეადგენს 150 000 ლარს. კომპანიას დაკავშირებულ მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არის შემდეგი: კომპანიამ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი და შედგა რეაბილიტაციის გეგმა რასაც თან ერთვის მოვალის საქმიანობის ანგარიში, რომელიც შედგენილია რეაბილიტაციის ზედამხედველისა და მოვალის დირექტორის მიერ 2025 წლის 09 ივნისს.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს.